



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011796866180721

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

147256

05 / აპრილი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 154227/17; **თარიღი:** 30.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირები: გულადი ბერიძის (პირადი ნომერი: 61006028604) წარმომადგენელი შოთა ჭიბლაძე (პირადი ნომერი: 61003001504).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020849504-16 (21.03.2021 წ.) და გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირების მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №882020849504-16 (21.03.2021 წ.) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოთხოვნის დაკმაყოფილება.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, გონიოს დასახლება.

№ 882020849504 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში დადგინდა ზედდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი და 05.36.24.476 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (მესაკუთრე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ასევე, № 882020744602 (განმცხადებელი: ზურაბ ბერიძე (პირადი ნომერი 61006028619)) განცხადებით სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


№ 154227/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმობაში გულადი ბერიძის (პირადი ნომერი: 61006028604) წარმომადგენლის შოთა ჯიბლაძის (პირადი ნომერი: 61003001504) 2021 წლის 30 მარტის № 154227/17 ადმინისტრაციული საჩივარი;
2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ პირად ჩაბმულ იქნეს ზურაბ ბერიძე (პირადი ნომერი 61006028619) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს დაინტერესებულ პირად ჩაბმულ პირებს და აჭარის რეგიონულ ოფისს;
4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და ბათუმის იუსტიციის სახლში (მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილი ქუჩა № 7), ასევე, საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი **ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად**  დავით დევიძე